

არასრულწლოვანთა მიმართ ინტერნეტსივრცის გამოყენებით ჩადენილი სქესობრივი დანაშაულების თავისებურებები და ზრდის გამომწვევი ფაქტორები

ირაკლი ნადარეიშვილი

სამართლის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის უფროსი, საქართველო, თბილისი

ელ.ფოსტა: irakli.nadareishvili@ciu.edu.ge

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ინტერნეტსივრცის გამოყენებით არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი არაძალადობრივი სქესობრივი დანაშაულების თავისებურებები. ავტორის მოსაზრებით, ციფრული ტექნოლოგიების ერაში ინტერნეტისა და ვირტუალური კომუნიკაციის საშუალებების განვითარებამ, ამ ხასიათის დანაშაულების მატების კუთხით, ნეგატიური როლი ითამაშა. იგი გადაიქცა ბავშვთა პორნოგრაფიის გავრცელებისა და მათ მიმართ არაძალადობრივი სქესობრივი ხასიათის დანაშაულების განხორციელების მთავარ წყაროდ და გამომწვევად. პრობლემის შესწავლისა და ანალიზის შედეგად იდენტიფიცირებულია დანაშაულის ზრდის ტენდენციები და ფაქტორები, კერძოდ: 1. საზოგადოების მენტალიტეტი, რომელიც გულისხმობს დაზარალებულთა მიმართვიანობის სიმცირეს (ჩადენილი დანაშაულების სხვადასხვა მოტივით გაუმუდავებლობის სურვილი), რაც, ფაქტობრივად, დანაშაულის ფაქტების დამალვაში გამოიხატება; 2. არასრულწლოვანთა და მშობელთა საფრთხეების შესახებ ინფორმირების მიზნით შესაბამისი პროფილაქტიკურ-შემეცნებითი პროექტებისა და ღონისძიებების არ არსებობა; 3. მშობლების მხრიდან სოციალურ ქსელებში არასრულწლოვანთა ყოფნის დროის შემზღვევა და მათზე ზედმეტად მჭიდრო გვერდების ბლოკირების პროგრამების, მეთოდებისა და ხერხების ცოდნის დაბალი დონე; 4. ინტერნეტში დიდი რაოდენობით ხელმისაწვდომი, გაუფილტრავი ეროტიკული და პორნოგრაფიული კონტენტების არსებობა; 5. სოციალურ ქსელებში ანონიმურად რეგისტრაციის შესაძლებლობა, ყოველგვარი მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის გარეშე; 6. სამართალდამცავთა მიერ ციფრული სივრცის ეფექტური კონტროლის არარსებობა არასრულწლოვნებზე ნეგატიური ზემოქმედებისა და გავლენების მქონე ვებ-გვერდებისა და კონტენტების გამოვლენის კუთხით; 7. ინტერნეტსივრცეში არასრულწლოვანთა საშუალო აქტივობის არასასურველი ზრდა; 8. არასრულწლოვანთა მიერ საკუთარი პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალის გაუცნობიერებლად და გაუაზრებლად ატვირთვის მაჩვენებლის ზრდა; 9. ელექტრონული პლატფორმების ზრდის

ტენდენცია, სადაც განთავსებული ფოტო/ვიდეო მასალების ნახვებისა და ე.წ. „ლაიქების“ დაგროვებით შესაძლებელია ფინანსური სარგებლის მიღება, 10. მოზარდის აღზრდა-განვითარების პროცესში მშობლების მხრიდან არასათანადო კონტროლი და ჩართულობა; 11. დაზარალებულთა გაუცნობიერებელი ქმედებების შედეგად მტკიცებულებათა განადგურებისა და მათი მოპოვება-დამაგრების პრობლემატიკა. მიმოხილულია, ინტერნეტსივრცის გამოყენებით, არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი გარყვნილი ქმედებისა და სხვა თანმდევი დანაშაულების ჩადენის ხერხები და მეთოდები. ავტორის დასკვნითი პრობლემა გლობალურია და ის განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.

საკვანძო სიტყვები: სოციალური ქსელი, პირადი ცხოვრება, გარყვნილი ქმედება

PECULIARITIES OF SEXUAL CRIMES COMMITTED AGAINST MINORS USING THE INTERNET AND FACTORS CAUSING GROWTH

Irakli Nadareishvili

Doctor of Law, affiliated Associated Professor at Caucasus International University.

*Head of the Department to Investigate Offenses Committed in the Course of Legal Proceedings
the Office of the General Prosecutor of Georgia, Tbilisi, Georgia*

Email: irakli.nadareishvili@ciu.edu.ge

ABSTRACT

This article examines the characteristics of non-violent sexual offenses committed against minors through the internet. The expansion of the digital communication tools has significantly contributed to the increase in such offenses, making digital technology both a catalyst and a challenge in combating the spread of child exploitation and non-violent sexual offenses targeting minors. The study identifies key trends and factors to the growth of internet-based sexual offenses against minors: (1) societal mentality, with victims reluctant to report offenses, leading to the concealment of incidents; (2) insufficient preventive and educational programs to rise awareness among minors and their parents about online risks; (3) limited parental knowledge about tools to restrict minors' access to harmful online content and manage their social media use; (4) the widespread availability of unfiltered erotic and pornographic content on the internet; (5) the ease of anonymous registration on social networks without verification; (6) inadequate law enforcement oversight in monitoring internet for harmful content targeting minors; (7) increased internet activity among minors; (8) a trend to share personal photos and videos without understanding risks; (9) the growth of online platforms that incentivize personal content sharing through financial rewards based on views and "likes"; and (10) insufficient parental engagement in adolescent development and online activity monitoring. Additionally, the article highlights challenges in evidence preservation and acquisition due to victims' unintentional actions, and reviews methods offenders use to exploit minors. According to the author, this worldwide problem needs immediate and specialized treatment.

KEYWORDS: Social network, Personal life, Depraved act

შესავალი

მსოფლიო თანამეგობრობის არაერთი მცდელობის მიუხედავად და ეროვნულ დონეზე განხორციელებული მთელი რიგი საკანონმდებლო რეფორმებისა, არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი სექსობრივი ხასიათის დანაშაულები 21-ე საუკუნის აქტუალურ გამოწვევად იქცა. რაოდენ ამაზრუნე და გასაკვირიც უნდა იყოს, სამწუხაროდ, მზარდია ოჯახის წევრის მიერ არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის ფაქტებიც. ციფრული ტექნოლოგიების ერაში ინტერნეტისა და ვირტუალური კომუნიკაციის საშუალებების განვითარებამ, ამ ხასიათის დანაშაულების მატების კუთხით, ნეგატიური როლი ითამაშა. სწორედ ინტერნეტი გადაიქცა ბავშვთა პორნოგრაფიის გავრცელებისა და მათ მიმართ არაძალადობრივი სექსობრივი ხასიათის დანაშაულების განხორციელების მთავარ საშუალებად და წყაროდ. არასრულწლოვანთა ინტერნეტდამოკიდებულების მზარდობის ფონზე იმატა პირადი ცხოვრების ამსახველი ინტიმური ფოტო/ვიდეო კადრების გავრცელებისა და გარყვნილი ქმედების განხორციელების ფაქტებმა. მოზარდთა ინტერესი სექსობრივი ცხოვრებისადმი ბუნებრივი მოვლენაა, რომლითაც სარგებლობენ დამნაშავეები და სხვადასხვა მეთოდებით უახლოვდებიან მათ, იწვევენ მათ ნდობას, სექსუალურ თემებზე საუბრებით აღვივებენ მათ ინტერესს და გარკვეული პერიოდის შემდეგ სთხოვენ ინტიმური ფოტოების გადაგზავნას ან ე.წ. „ლაივ ჩართვებს“, რადროსაც ხდება გენიტალიების დემონსტრირება და სხვადასხვა სექსუალური ხასიათის მანიპულაციები. ასეთ ქმედებებს ხშირად ახლავს მოპოვებული ფოტო და ვიდეო მასალით მანტაჟისა და გამოძალვის ფაქტები, რიგ შემთხვევებში კი,

სექსუალური თანაცხოვრების იძულება. იმისთვის, რომ ნათელი გახდეს არსებული პრობლემის სიმწვავე და მისი მზარდი ტენდენციების გამომწვევი მიზეზები, საჭიროა: 1. განხორციელდეს ბოლო ხუთი წლის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი; 2. შესწავლილი იქნას არასრულწლოვანთა მიმართ ინტერნეტში განხორციელებული სექსობრივი ხასიათის დანაშაულების დინამიკა; 3. დადგინდეს დანაშაულის ხელშემწყობი ძირითადი ფაქტორები ინტერნეტრესურსების თავისებურებების გათვალისწინებით.

დანაშაულის ჩადენის ხერხები, მეთოდები და ზრდის გამომწვევი ფაქტორები

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს მოზარდის ცხოვრებაზე მშობლების მხრიდან არასათანადო კონტროლი და ჩართულობა, რაც, ხშირ შემთხვევაში, მათი სამსახურეობრივი მოუცლევლობით აიხსნება და ბავშვის აღზრდა სრულიად მინდობილია ძიძაზე. ფაქტობრივად, თანამედროვე ოჯახებში ბავშვის სწორი აღზრდა და განვითარება ძიძის კეთილსინდისიერებასა და აღმზრდევლობით უნარებზე გახდა დამოკიდებული. მაშინაც კი, როცა მშობლები შვილებთან ატარებენ გარკვეულ დროს, ბავშვის დასაწყნარებლად და საკუთარი „სიმშვიდის“ მოსაპოვებლად ინტერნეტქსელში ჩართულ ტელეფონებს „აჩეჩებენ“ ხელში. შედეგად კი ვიღებთ იმ მოცემულობას, რომ უკვე სკოლამდელი ასაკის ბავშვები შესანიშნავად ფლობენ და მოიხმარენ ციფრულ ტექნოლოგიებს, ხოლო დაახლოებით ათი წლის ასაკში უკვე ინტერნეტდამოკიდებულები ხდებიან. ციფრული ტექნოლოგიების ზრდის ფონზე, მაშინ, როცა თითქმის ყველა არასრულ-

წლოვანი ინტერნეტში ჩართული მობილური ტელეფონითა და პლანშეტით სარგებლობს, არასასურველი ინფორმაციული ნაკადის შეზღუდვა და მათზე წვდომის ბლოკირება მშობლების მიერ, ფაქტობრივად, შეუძლებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მეტად აქტუალურია, თუ რა როლი და ფუნქცია შეიძლება შეასრულოს ამ პროცესში სკოლამ და როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს მხრიდან გასატარებელი პრევენციული ღონისძიებები არასრულწლოვანთა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისგან დასაცავად.

საინტერესოა არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სქესობრივი დანაშაულების დინამიკა 21-ე საუკუნის პირველი და მეორე ათწლეულების მიხედვით. 2009 წელს გამოქვეყნდა 22 ქვეყანაში ჩატარებული 65 კვლევის შედეგი, კერძოდ: ზოგადი სექსუალური დანაშაულების ანალიზით, ბავშვთა მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი 19,7 % შემთხვევაში გოგონები, ხოლო 7,9 % შემთხვევაში ვაჟები იყვნენ. ამ მხრივ, ყველაზე ცუდი მაჩვენებელი აფრიკის ქვეყნებში იყო, სადაც დანაშაულის ხვედრითი წილი 34,4 %-ს შეადგენდა. ამერიკასა და აზიაში მაჩვენებელი მერყეობდა 10 % – დან 23, 9 % – მდე წლების მიხედვით, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა ევროპას 9,2 %.¹

2013 წელს ქ. კემეროვოში გამართულ „სექსუალური დანაშაულებისაგან ბავშვთა უფლებების დაცვის“ საერთაშორისო კონფერენციაზე წარდგენილი კვლევის თანახმად: 2001 წლიდან 2012 წლამდე რუსეთში ორჯერ გაიზარდა ჩადენილი გარყვნილი ქმედებების სტატისტიკა მოზარდი ბიჭების მიმართ, ხოლო 2008-დან 2012 წლამდე 12-ჯერ გაიზარდა ბავშვთა პორნოგრაფიული მასალების გავრცელება ინტერნეტ ქსელებში.² საგანგაშოა ამ მხრივ რუსეთის ფედერაციაში არსებული შემდგომი ვითარებაც, სადაც 2010-დან 2020 წლამდე არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი სექსუალური დანაშაულები 63%-ით იყო გაზრდილი.³ 2020 წლის შემდეგ, სამი წლის განმავლობაში, რუსეთის ფედერაციის შ.ს. სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სექსუალური დანაშაულების შედეგად დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა: 2020 წელს 94 800, 2021 წელს 112 300, ხოლო 2022 წელს 113 300 არასრულწლოვანს. როგორც ვხედავთ, სახარბიელო ვითარება რუსეთში არც 2020 წლის შემდეგ ფიქსირდება და არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი სექსუალური დანაშაულების ზრდის მაჩვენებელი 19,5 %-ს შეადგენს.⁴

2021 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით,

- 1 შეადარე. Global prevalence of child sexual abuse. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://journalistsresource.org/criminal-justice/global-prevalence-child-sexual-abuse/> [წვდომის თარიღი 29.10.2024].
- 2 შეადარე. Материалы региональной конференции, 2013. „Защита прав детей от сексуальных преступлений и посягательств“. Кемерово: [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://deti.kemobl.ru/upload/iblock/26a/26a3369bcd8e075ec804e5402525b682.pdf> [წვდომის თარიღი 29.10.2024].
- 3 შეადარე. Калашник, В. А ., 2022. „Половые преступления в отношении несовершеннолетних. в сети Интернет: факторы динамики“. Вестник МГЛУ. Образование и педагогические науки. Вып. 4 (845) . გვ.109.
- 4 შეადარე. Опасность и возраст: в России увеличилось число преступлений против детей. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://iz.ru/1463589/iana-shturma/opasnost-i-vozrast-v-rossii-uvelichilos-chislo-prestuplenii-protiv-detei> [წვდომის თარიღი 29.10.2024].

განხორციელდა არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელების კვლევა და მონიტორინგი. ანგარიშის მიხედვით: „ 2014-2020 წლებში სულ 1 092 არასრულწლოვანი ცნეს დაზარალებულად სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციების დანაშაულებზე, აქედან, 2018-2019 წლებში – 317 არასრულწლოვანი.“⁵ საქართველოს, შს. სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, 2018 წელს არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებს შორის 42% იყო ოჯახში ძალადობა, 12% – სექსუალური ძალადობა (ამათგან, 7% ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირი).⁶ სექსუალურ დანაშაულთა ზრდა დაფიქსირდა 2020-2021 წლებშიც. 2020 წელს რეგისტრირებულია სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულთა (მ. 137-141) 318 ფაქტი, ხოლო 2021 წელს 459 შემთხვევა. ზრდამ შეადგინა 44,34 %-ი.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე საქართველოს გენერალური პროკურატურიდან გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია, თუ რამდენი არასრულწლოვანი იქნა ცნობილი დაზარალებულად 2020 წლიდან დღემდე (წლების მიხედვით), მათ მიმართ ინტერნეტრესურსების გამოყენებით ჩადენილი სსკ-ის 141-ე; 255-ე; 255¹-ე და 255² – ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის. გენერალური პროკურატურიდან მიღებული №13/70116 წერილიდან ირკვევა შემდეგი:

1. 2020 წელს სსკ-ის 141-ე მუხლით დაზარალებულად ცნობილია 5 არას-

რულწლოვანი, ხოლო სსკ-ის 255-ე მუხლით – 1 არასრულწლოვანი.

2. 2021 წელს სსკ-ის 141-ე მუხლით დაზარალებულად ცნობილია 18 არასრულწლოვანი, ხოლო სსკ-ის 255-ე მუხლით – 1 არასრულწლოვანი.
3. 2022 წელს სსკ-ის 141-ე მუხლით დაზარალებულად ცნობილია 6 არასრულწლოვანი, ხოლო სსკ-ის 141-ე და 255²-ე მუხლების ერთობლიობით – 1 არასრულწლოვანი.
4. 2023 წელს სსკ-ის 141-ე მუხლით დაზარალებულად ცნობილია 7 არასრულწლოვანი, ხოლო სსკ-ის 141-ე და 255-ე მუხლების ერთობლიობით – 1 და სსკ-ის 255²-ე მუხლით – 1 არასრულწლოვანი.
5. 2024 წლის 1 იანვრიდან 28 ოქტომბრის ჩათვლით სსკ-ის 141-ე მუხლით დაზარალებულად ცნობილია 8 არასრულწლოვანი, ხოლო სსკ-ის 255²-ე მუხლით – 1 არასრულწლოვანი.

ბოლო ხუთ წელიწადში ინტერნეტრესურსების გამოყენებით ჩადენილი სქესობრივი დანაშაულებისათვის დაზარალებულად ცნობილია 50 არასრულწლოვანი. 2020 წელთან შედარებით (6 დაზარალებული) 2024 წლის 10 თვეში (9 დაზარალებული) ზრდის მაჩვენებელმა 50% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ არცერთი წლის მონაცემებში არ ფიქსირდება 2020 წლის მონაცემებთან მიმართებით კლების ტენდენცია. დანაშაულის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2021 წელს (19 დაზარალებული) იყო, რაც იმ პერიოდში ქვეყანაში არსებული პანდემიის პერიოდს ემთხვევა. ანუ პერიოდს, როდესაც სასწავლო პრო-

5 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში 2021წ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.unicef.org/georgia/media/6451/file/%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf>> [წვდომის თარიღი 29.10.2024].

6 შეადარე. შსს ვებ გვერდი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://police.ge/12526>> [წვდომის თარიღი 29.10.2024].

ცესი მიმდინარეობდა ე.წ. დისტანციურ რეჟიმში და არასრულწლოვნები ინტერნეტსივრცეში ჩვეულებრივზე მეტ დროს ატარებდნენ.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფომ, არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობისა და სქესობრივი დანაშაულების პრობლემის გადაჭრის მიზნით, არაერთი ნაბიჯი გადადგა: 2014 წელს მოახდინა ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან დაცვის ევროპის საბჭოს ე.წ. „ლანზაროტეს კონვენციის“ რატიფიკაცია; 2015 წელს მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი; 2016 წელს საქართველოს მთავრობამ გამოსცა №437 დადგენილება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“, რომლითაც სხვადასხვა უწყებებს დაევაალათ ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა ერთიანი ბაზის ფორმირება. 2017 წელს მოახდინა მთელი რიგი სქესობრივი დანაშაულების ახლებური ფორმულირება და სანქციების გამკაცრება; 2020 წელს მიიღო საქართველოში „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ კანონი, რომლის საფუძველზე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ შექმნა სქესობრივი დანაშაულისთვის მსჯავრდებულ და უფლებაჩამორთმეულ პირთა ელექტრონული რეესტრი და სხვა (ცნობისთვის, ა.შ.შ. – ში დამნაშავეთა ერთიანი რეესტრი 2006 წლიდან არსებობს და ის საჯაროა. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია შეამოწმოს ინფორმაცია, ხომ არ ცხოვრობს მის სიახლოვეს ბავშვთა მიმართ სქესობრივი დანაშაულის ჩამდენი პირი). მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გატარებული საკანონმდებლო რეფორმებისა და პრევენციული ზომებისა, დანაშაულის სტატისტიკური ანალიზი და დანაშაულის დინამიკა აჩვენებს, რომ

არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულები არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება.

ვინაიდან, ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანი ინტერნეტსივრცის გამოყენებით ჩადენილი დანაშაულია, აუცილებელია განვიხილოთ დანაშაულის ჩადენის ის მეთოდები, ხერხები და ზოგადი საფრთხეები, რომლებიც არასრულწლოვანთა მიერ ვირტუალური სივრცის შეუზღუდავ გამოყენებას ახლავს. ასეთი დანაშაულები, ერთი მხრივ, „უწყინარი მეგობრობის“ შეთავაზებით იწყება. როგორც ეროვნული და საზღვარგარეთის საგამოძიებო პრაქტიკა აჩვენებს, ზრდასრული პირები ყალბი პროფილის ფოტოებითა და მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით ცდილობენ თავი წარმოაჩინონ, როგორც მსხვერპლის თანატოლმა ან/და რამდენიმე წლით უფროსი ასაკის პირებმა. გვხვდება შემთხვევები, როცა დამნაშავეები თავს ასაღებენ სამოღელლო სააგენტოების წარმომადგენლებად და ამ სტატუსით ახდენენ დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანას. მსხვერპლის ფოტოებისა და მის მიერ გამოქვეყნებული „პოსტების“ შესწავლის და ანალიზის გზით განსაზღვრავენ არასრულწლოვანთა ინტერესის სფეროებს, მათ მიდრეკილებებსა და გატაცებებს, რომლებსაც მსხვერპლისთვის საინტერესო საუბრის წამოსაწყებად იყენებენ. ზოგჯერ სთავაზობენ სხვადასხვა ონლაინ თამაშებში ჩართვას, მათში ერთობლივ მონაწილეობას და ამ თამაშის ე.წ. „ჩათების“ გამოყენებით, პირად პრობლემებზე საუბრებით, რჩევა-დარიგებების მიცემით და ამა თუ იმ საქციელების შექება-მოწონებით მათი ნდობის მოპოვებას ახდენენ. გარკვეული პერიოდის შემდეგ კი, არასრულწლოვნებში მათდამი ურთიერთობის დამოკიდებულე-

ბას იწვევენ. მას შემდეგ, რაც მსხვერპლი ფლირტის გზით კონკრეტული სასიყვარულო-სექსუალური „თამაშებისთვის მომწიფდება“, ახლენენ მათზე „სექსუალური განათლების“ ე.წ. ინფორმაციულ მტურმს. მსხვერპლის დაინტერესების შემდეგ, სთხოვენ მათ ნახევრად ეროტიკული ფოტოების (მაგ: დამის პერანგში ან საცვლებში გადაღებული „სელფების“) ან ვიდეო ჩანაწერების გადაგზავნას, რასაც მათი სექსუალურობის შეფასების მიზნით ხსნიან. ეს პროცესი კი, ხშირ შემთხვევაში, სრულდება მსხვერპლის მიშველი ფოტო/ვიდეო მასალის მოპოვებით. რიგ შემთხვევებში, არასრულწლოვნებს სთავაზობენ ამგვარი მასალის გადაგზავნის სანაცვლოდ ფინანსურ დაინტერესებას ანონიმურობის სრული დაცვის გარანტიით და ავანსის სახით გარკვეული თანხების გადარიცხვასაც ახორციელებენ. პრაქტიკაში არც თუ იშვიათია მასტურბაციის ამსახველი ვიდეო ფაილების გადაგზავნის ან ე.წ. „ლაივ რეჟიმში“ ჩვენების ფაქტებიც, რა დროსაც ვიდეოს ჩაწერა თავად დამნაშავის მიერ ხორციელდება. გვხვდება „ვიდეო ჩათის“ მეშვეობით ერთობლივი მასტურბაციის ფაქტებიც. იშვიათ შემთხვევებში დამნაშავეთა მიერ სხვადასხვა საგნის გამოყენებით არასრულწლოვანთა პორნოგრაფიული ხასიათის მასალების მოპოვებაც ხდება. გარდა იმისა, რომ სახეზეა გარყვნილი ქმედება, რაც სსკ-ის 141-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულია⁷, რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, არასრულწლოვანი გახდეს სექსუალური გამოძალვის (Sextortion) მსხვერპლიც. კერძოდ, დამნაშავის მიზანს შესაძლოა წარმოა-

დგენდეს მსხვერპლის ინტიმური შინაარსის ფოტო-ვიდეო მასალის მოპოვება, შემდგომში შანტაჟის გზით მსხვერპლისგან ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით ან ამგვარი მასალის უკანონო გავრცელების შედეგად მიღებული შემოსავალი. შესაძლოა, დამნაშავის მიერ მოპოვებული მასალა გამოყენებული იქნას სსკ-ის 139-ე მუხლის მე-4 ნაწილის ბ. პუნქტით გათვალისწინებული ქმედების განსახორციელებლად („პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ“⁸). ასევე, შესაძლოა, პირი ამგვარ ქმედებას ახორციელებდეს ფსიქიკური აშლილობა-გადახრის (პედოფილიის) გამოც.

როგორია არასრულწლოვნის რეაქცია მას შემდეგ, რაც ის გააცნობიერებს, რომ მოტყუებულია და მისი მიმოწერები ან/და გადაგზავნილი ფოტო/ვიდეო მასალები, შესაძლოა, საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდეს? დაბნეულობა, შიში, სირცხვილი, უმწეობისა და დაუცველობის შეგრძნებები, – ეს ის ფსიქო-ემოციური განცდებია, რომლებმაც არა მხოლოდ ტრავმები, არამედ არასრულწლოვნის თვითმკვლელობაც შეიძლება გამოიწვიოს. პასუხისმგებლობა და შიში ოჯახის წინაშე „ჩადენილი საქციელების“ გამო არასრულწლოვნებს განსაკუთრებით მოწყვლადებად აქცევს და მათი გარკვეული ნაწილი აგრძელებს დამნაშავის მოთხოვნათა მორჩილებას. ნაწილს ჰყოფნის გამბედაობა და მის მიმართ განხორციელებული დანაშაულის შესახებ ახდენს ოჯახის წევრების ინფორმირებას. მხო-

7 შეადარე. მუხლი 141, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/16426?publication=264> [წვდომის თარიღი 29.10.2024].

8 პუნქტი ბ., ნაწილი 4, მუხლი 139, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/16426?publication=264> [წვდომის თარიღი 29.10.2024].

ლოდ მცირე ნაწილი არასრულწლოვნებისა და მათი მშობლებისა არ ერიდებიან „სახელის გამტყუნი“ ინფორმაციებისა და ფოტო/ვიდეო მასალის „ოჯახს გარეთ გატანას“ და მიმართავენ სამართალდამცავ ორგანოებს. ამდენად, ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები ვერანაირად ვერ იქნება რეალობის სრულად ამსახველი, განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველოა. ამდენად, გონივრული იქნება ვივარაუდოთ, რომ არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სქესობრივი დანაშაულები გაცილებით მეტია, ვიდრე ეს ოფიციალურ ციფრებშია ასახული.

საზოგადოებაში არსებული მანკიერი მენტალიტეტი არის სწორედ ის ნოყიერი ნიადაგი და წამქეზებელი ფაქტორი დანაშაულებისათვის, რომ მათ მომავალშიც განახორციელონ მსგავსი ხასიათის დანაშაულები და იმედოვნებდნენ, რომ არ მოხდება მათი მსხვერპლთა მხრიდან მხილება და, შესაბამისად, ასცდებიან სასჯელს.

ჩვენ მიერ განხილულ ქმედებათა დასაკვალიფიცირებლად მნიშვნელოვანია თავად არასრულწლოვანთა ასაკობრივი დაყოფაც. მაგალითად, ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, ბავშვი არის 18 წლამდე, ხოლო მოზარდი ბავშვი 10-დან 18 წლამდე პირი.⁹ თუმცა, სისხლის სამართლებრივი მიზნებისთვის 10 წლამდე ბავშვი ითვლება უმწეო მდგომარეობაში მყოფ პი-

რად, ვინაიდან, მას ჯერ კიდევ არ გააჩნია საკუთარი ქმედების გაცნობიერების უნარები. უმწეო მდგომარეობაში მყოფ პირად შეიძლება აღიარებული იქნას მოზარდიც, მისი გონებრივი განვითარების დონის გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება არა გარყვნილ ქმედებად, არამედ სსკ-ის 138-ე მუხლით.¹⁰ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და სსკ-ის შესაბამისად: „გარყვნილ ქმედებად უნდა შეფასდეს სრულწლოვანი პირის მიერ 16 წლამდე ასაკის პირისთვის თავისი შიშველი სხეულის ინტიმური ადგილების სურათის გაგზავნა, აშკარად უხამსი, სექსუალური შინაარსის მიმოწერა. იგივე შეიძლება ითქვას მსხვერპლის დაყოლიებაზე, რათა მან გაუგზავნოს ან ანახოს ამსრულებელს თავისი შიშველი სურათები. მსგავსი ქმედებები ხელს უწყობს 16 წლამდე ასაკის პირის არასწორ სექსუალურ განვითარებას, ვინაიდან, ბავშვისთვის შიშველი სურათების გაგზავნა არ არის ზოგადად მისაღები ქცევა და სწორედ მისი გამოუცდლობით სარგებლობს დამნაშავე, რომელიც ინტენსიური კომუნიკაციითა და შეცდომაში შეყვანით ახერხებს მის დაყოლიებას.“¹¹ სსკ-ის 141-ე მუხლის მე-2 ნაწილში მოცემულია დამამძიმებელი გარემოებები, მათ შორის დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ განხორციელებული ქმედება.¹² ამდენად, გარყვნილი ქმედების და-

9 შეადარე, მუხლი 3. ბავშვის უფლებათა კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=7> [წვდომის თარიღი 29.10.2024].

10 შეადარე. პატარაია, ბ. და სხვები, 2020. „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კომენტარები“. თბილისი: გვ. 158.

11 გეგელია, თ., კელენჯერიძე, ი. და ჯიშკარიანი, ბ., 2020. სქესობრივი დანაშაული. თბილისი: იურისტების სამყარო. გვ. 108.

12 შეადარე. მუხლი 141, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/16426?publication=264> [წვდომის თარიღი 29.10.2024.]

ზარალებულებს წარმოადგენენ 10 – დან 16 წლამდე არასრულწლოვნები.

პრობლემატურია ამგვარი დანაშაულების მტკიცებულებათა მოპოვება-დამაგრებაც, ვინაიდან, როგორც წესი, დაბნეულობასა და ემოციურ სტრესში მყოფი არასრულწლოვნები თავად ანადგურებენ მათ. შლიან მიმოწერებს ან საერთოდ აუქმებენ სოციალურ ქსელებში პროფილებს, იმ იმედით, რომ დამნაშავეები ვერ მიაგნებენ მათ და არ გახდება დამნაშავესთან ინტიმური ურთიერთობის შესახებ ვინმესთვის ცნობილი, რაც, რა თქმა უნდა, შეცდომაა. რიგ შემთხვევებში, დაზარალებულის მიერ დანაშაულის ფაქტის დამალვა და ჩვენების მიუცემლობა განპირობებულია მშობლების პოზიციით, რომლებსაც არ სურთ „სახელგამტეხი“ ინფორმაციის ოჯახის გარეთ გატანა. მაშინაც კი, როცა დაზარალებული არასრულწლოვანი იძლევა ჩვენებას, შიშის, სირცხვილის, დაძაბულობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით ასეთი ჩვენება არასრულყოფილია და მისდაუნებურად, იგი ახდენს ურთიერთობის გარკვეული ეპიზოდების ან გვერდის ავლას, ან მისთვის სასარგებლოდ (თავის მართლების რეჟიმში) ინტერპრეტირებას. გარდა ამისა, როგორც წესი, არ არსებობს დანაშაულის ფაქტის შემსწრე თვითმხილველი მოწმე, დნმ-ის ან სხვაგვარი კვალის აღმოჩენა-დამაგრების შესაძლებლობაც.

დასკვნა

ინტერნეტსივრცის გამოყენებით არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულების ზრდის გამომწვევი ფაქტორებიდან უნდა გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი ფაქტორი: 1. საზოგადოების მენტალიტეტი, რომელიც გულისხმობს დაზარალებულთა

მიმართვიანობის სიმცირეს (ჩადენილი დანაშაულების სხვადასხვა მოტივით გაუმქდავენბლობის სურვილი) და, რაც, ფაქტობრივად, დანაშაულის ფაქტების დამალვაში გამოიხატება; 2. არასრულწლოვანთა და მშობელთა საფრთხეების შესახებ ინფორმირების მიზნით შესაბამისი პროფილაქტიკურ-შემეცნებითი პროექტებისა და ღონისძიებების არარსებობა; 3. მშობლების მხრიდან სოციალურ ქსელებში არასრულწლოვანთა ყოფნის დროის შემზღუდავი და მავნე ზეგავლენის მქონე გვერდების ბლოკირების პროგრამების, მეთოდებისა და ხერხების ცოდნის დაბალი დონე; 4. ინტერნეტში დიდი რაოდენობით ხელმისაწვდომი, გაუფილტრავი ეროტიკული და პორნოგრაფიული კონტენტების არსებობა; 5. სოციალური ქსელებში ანონიმურად რეგისტრაციის შესაძლებლობა, ყოველგვარი მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის გარეშე; 6. სამართალდამცავთა მიერ ციფრული სივრცის ეფექტური კონტროლის არარსებობა არასრულწლოვნებზე ნეგატიური ზემოქმედებისა და გავლენების მქონე ვებგვერდებისა და კონტენტების გამოვლენის კუთხით; 7. ინტერნეტსივრცეში არასრულწლოვანთა საშუალო აქტივობის არასასურველი ზრდა; 8. არასრულწლოვანთა მიერ საკუთარი პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალის გაუცნობიერებლად და გაუაზრებლად ატვირთვის მაჩვენებლის ზრდა; 9. ელექტრონული პლატფორმების ზრდის ტენდენცია, სადაც განთავსებული ფოტო/ვიდეო მასალების ნახვებისა და ე.წ. „ლაიქების“ დაგროვებით შესაძლებელია ფინანსური სარგებლის მიღება; 10. მოზარდის აღზრდა-განვითარების პროცესში მშობლების მხრიდან არასათანადო კონტროლი და ჩართულობა; 11. დაზარალებულთა გაუცნობიერებული ქმედებების შედეგად მტკიცებულებათა განადგურებისა და მათი მოპოვება-დამაგრების პრობლემატიკა.

საბოლოო დასკვნის სახით, უნდა ითქვას, რომ ინტერნეტვიზიტის საშუალებით არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილ სქესობრივ დანაშაულთან ბრძოლის პრობლემა გლობალურია და მისი შემცირება მხოლოდ სახელმწიფოს, ოჯახის,

საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საზოგადოების ერთობლივი, კოორდინირებული მოქმედებისა და ღონისძიებების გატარებით არის შესაძლებელი.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაბისონია, ი., გაბელია, ჯ. და დარსანია, თ., 2020. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. ადამიანის უფლებების და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. თბილისი: მერიდიანი.
2. გეგელია, თ., კელენჯერიძე, ი. და ჯიშკარიანი, ბ., 2020. სქესობრივი დანაშაული. თბილისი: იურისტების სამყარო.
3. ლეკვიძილი, მ., თოდუა, ნ. და მამულაშვილი, გ., 2016. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი პირველი. თბილისი.
4. პატარაია, ბ. და სხვები, 2020. სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კომენტარები. თბილისი.
5. Калашник, В. А., 2022. Половые преступления в отношении несовершеннолетних в сети Интернет: факторы динамики. Вестник МГЛУ. Образование и педагогические науки. Вып. 4 (845).
6. Шапорова, Е., 2023. Предупреждение преступлений против половой свободы и половой неприкосновенности несовершеннолетних. Молодой ученый, 20 (467).

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://matsne.gov.ge/document/](https://matsne.gov.ge/document/view/16426?publication=264)

[view/16426?publication=264](https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=264)> [წვდომის თარიღი 29.10.2024].

2. საქართველოს კანონი „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4792146?publication=5>> [წვდომის თარიღი 29.10.2024].
3. ბავშვის უფლებათა კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=7>> [წვდომის თარიღი 29.10.2024].

ინტერნეტ რესურსები:

1. კვაჭაძე მ., „ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის დანაშაულებზე მართმსაჯულების განხორციელების ძირითადი სტანდარტები ლანზაროტეს კონვენციისა და სხვა საერთაშორისო აქტების ქრილში.“ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/pdf/kvlevis_da_analizis centri/kvlevebi/bavshvze-seqsualuri-eqspluataciis-danashaulebze.pdf](https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/pdf/kvlevis_da_analizis centri/kvlevebi/bavshvze-seqsualuri-zaladobisa-da-seqsualuri-eqspluataciis-danashaulebze.pdf)> [წვდომის თარიღი 29.10.2024].
2. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში 2021წ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.unicef.org/georgia/media/6451/file/%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%90>

- [E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf](#) [წვდომის თარიღი 29.10.2024].
3. შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ. გვერდი [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://police.ge/12526> [წვდომის თარიღი 29.10.2024].
 4. Global prevalence of child sexual abuse. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://journalistsresource.org/criminal-justice/global-prevalence-child-sexual-abuse/> [წვდომის თარიღი 29.10.2024].
 5. Материалы региональной конференции „Защита прав детей от сексуальных преступлений и посягательств“. Кемерово: 2013. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://deti.kemobl.ru/upload/iblock/26a/26a3369bcd8e075ec804e5402525b682.pdf> [წვდომის თარიღი 29.10.2024].
 6. Опасность и возраст: в России увеличилось число преступлений против детей. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია <https://iz.ru/1463589/iana-shturma/opasnost-i-voznrast-v-rossii-uvelichilos-chislo-prestuplenii-protiv-detei> [წვდომის თარიღი 29.10.2024].

BIBLIOGRAPHY:

Used Literature:

1. Gabisonia, I., Gabelia, J. and Darsania, T., 2020. Criminal Law, Special Part: Crimes Against Human Rights and Freedoms. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
2. Gegelia, T., Kelenjeridze, I. and Jishkariani, B., 2020. Sexual Crime. Tbilisi: Jurists' World Publishing. (in Georgian)
3. Kalashnik, V. A. , 2022. "Sexual Crimes Against Minors on the Internet: Dynamics and Factors." Bulletin. Education and Pedagogical Sciences. Issue 4 (845). (in Russian)
4. Lekveishvili, M., Todua, N. and Mamulashvili, G. 2016. Criminal Law, Special Part. Book One. Tbilisi. (in Georgian)
5. Patariaia, B. and others, 2020. Commentaries on Crimes Against Sexual Freedom and Inviolability. Tbilisi. (in Georgian)
6. Shaporova, E., 2023. "Prevention of Crimes Against Sexual Freedom and Inviolability of Minors." Young Scientist, 20 (467). (in Russian)

Normative Materials:

1. Criminal Code of Georgia. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/document/view/16426?publication=264> [Accessed 29.10.2024]. (in Georgian)
2. Code on the Rights of the Child. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=7> [Accessed 29.10.2024]. (in Georgian)
3. Law of Georgia on Combating Crimes Against Sexual Freedom and Inviolability. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4792146?publication=5> [Accessed 29.10.2024]. (in Georgian)

Online Resources:

1. "Danger and Age: Increase in Crimes Against Children in Russia." [Online] available at: <https://iz.ru/1463589/iana-shturma/opasnost-i-voznrast-v-rossii-uvelichilos-chislo-prestuplenii-protiv-detei> [Accessed 29.10.2024]. (in Russian)
2. "Global Prevalence of Child Sexual Abuse." [Online] available at: <https://journalistsresource.org/criminal-justice/global-prevalence-child-sexual-abuse/> [Accessed 29.10.2024]. (in English)
3. Kvachadze, M. "Basic Standards for Administering Justice on Crimes of Sexual Violence and Exploitation Against Children in Light of the Lanzarote Convention and Other International Acts." Research and Analysis Center of the Analytical Department of the Supreme Court of Georgia. [Online] available at: https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/pdf/kvlevis_da_analizis centri/kvlevebi/bavshvze-seqsualurizaladobisa-da-seqsualuri-eqspluataciisdanashaulebze.pdf [Accessed 29.10.2024]. (in Georgian)
4. Materials from the Regional Conference on Protecting Children's Rights from Sexual Crimes and Assaults. Kemerovo: 2013. [Online] available at: <https://deti.kemobl.ru/upload/iblock/26a/26a3369bcd8e075ec804e5402525b682.pdf> [Accessed 29.10.2024]. (in Russian)
5. Ministry of Internal Affairs of Georgia, official website. [Online] available at: <https://>

- police.ge/12526> [Accessed 29.10. 2024].
(in Georgian)
6. Special Report of the Public Defender of Georgia, 2021. [Online] available at: <<https://www.unicef.org/georgia/media/6451/file/%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf>> [Accessed 29.10.2024]. (in Georgian)